სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 ნოემბერი 2024

N 21/12171

შპს „ბათუმის წყალს“
მის.: ქალაქი ბათუმი, თაბუკაშვილის ქუჩა, №19
ელ. ფოსტა: info@bats.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 14 ნოემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N10968), რომელიც ეხება შპს „ბათუმის წყლის“ მიერ ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- შპს “ბათუმის წყლის” გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების პროექტში წარმოდგენილია ჩამდინარე წყლების ჩაშვების ორი წერტილი. აქედან ერთ-ერთი (N2) ჩაშვება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულ არხში, რომელიც წარმოადგენს ბათუმის მერიის საკუთრებას (გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი). აღნიშნული არხი, 800 მეტრის მოშორებით უერთდება მდ. ჭოროხს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზდჩ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ჩაშვების ერთი წერტილი, ვინაიდან საკუთრებაში მყოფი წყალსამეურნეო სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები განისაზღვრება აღნიშნული სისტემის მფლობელთან შეთანხმებით;
- გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების წარმოდგენილ პროექტში დაზუსტებას საჭიროებს რომელი დადგენილების შესაბამისად მოხდა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დადგენა. ამასთან გაცნობებთ, რომ ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- პროექტში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი ანგარიშის მეთოდოლოგიური მითითებანი, მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი კლასიფიკაცია საჭიროებს დაზუსტებას საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის წყალჩაშვების წერტილის კოორდინატები (X, Y), ასევე Shp ფაილები;
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად გზშ-ის ანგარიშით, დაგეგმილი N6 სატუმბი სადგურის მოწყობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთის ს/კ. 05.32.12.026 არ იძებნება და საჭიროებს კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტისთვის შერჩეული ტერიტორიის ერთ ნაკვეთზე ფიქსირდება კერძო საკუთრება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნაკვეთის გამოსყიდვასთან დაკავშირებით, კერძო მესაკუთრესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი კერძო მესაკუთრესთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად „საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობა და რაოდენობები დაზუსტებული იქნება გზშ-ის ანგარიშში“. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას (გვ.69).

სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12171-21-2-202411281802